საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება № 13

ბათუმი „26" აპრილი 2023 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 ივნისის N21 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და 67[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 25 აპრილის N683 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 18 ივნისის N21 ბრძანებით დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს დებულებაში" შევიდეს ცვლილება და მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5.

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ და დოკუმენტურ უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ხოლო საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეული".

2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ, ღიად განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის თვალსაჩინო, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტს და მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.

4. ამ ბრძანების კანონით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და საჯაროდ გამოცხადება, უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

დავით გაბაიძე